ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● № 10 (7087) 12 აპრილი 2023 წელი

16 აპრილი — იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა



აღდგომა—უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ამდენად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და მას წლევანდელ წელს მართლმადიდებელი ქრისტიანობა 16 აპრილს აღნიშნავს.

მართლმადიდებელი ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე ასე მიესალმებიან ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად აღსდგა!“

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების შინა ცხოვრების
მიმნიჭებელი (3 გზის).

ვნების კვირეული

☞8

სულთათანა

☞4, 5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სკვერი ამფითეატრით და ძევრის რეკრეაციული ზონა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში შეუფერხებლად მიმდინარეობს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროგრამის განხორციელება, რაც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასკვნით ეტაპზეა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდით დაფინანსებული პროექტების განხორციელება.

ამ დღეებში, მიმდინარე სამუშაო პროცესებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მირზა ქოჩიაშვილი, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან ელისო მურადაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან დავით გოგბერაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

დასკვნით ეტაპზეა ქალაქ თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ამფითეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, ამ დროისთვის დასრულებულია სასეირნო ბილიკებისა და დასასვენებელი სკამების მოწყობა, ხოლო აქტიურ ფაზაშია ამფითეატრისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სახურავების რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, წარმატებით ხორციელდება სოფელ ძევრში, მდ. ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონის მოწყობა.

პროექტის ფარგლებში დასრულებულია საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე გაბიონებისა და მდ.ძერულაზე გადასახედების მოწყობა.

პარალელურად მიმდინარეობს საპიკნიკე ფანჩატურების, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა.

სამუშაო შეხვედრას მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, გოდერძი თურქაძე, ასევე ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე ესწრებოდნენ.

ამ პროგრამის ფარგლებში, თერჯოლის ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარე წელს დასრულდება.

ქალაქ თერჯოლის ბარათაშვილის ქუჩა...

ქალაქ თერჯოლაში, ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

ამ დღეებში მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მირზა ქოჩიაშვილმა, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, გოდერძი თურქაძესთან ერთად ადგილზე დაათვალიერა მიმდინარე სამუშაოები და მშენებელი კომპანიის წარმომადგენელს ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ესაუბრნენ.

ამ დროისთვის ბარათაშვილის ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს, ასევე მოეწყობა სანიაღვრე არხები, მიერთებები და ეზოს მისასვლელები.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ შპს „ვექტორი“ ანხორციელებს.



თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დავით გოგბერაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცებას.

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება-თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, იურიდიულ საკითხთა კომისიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა” და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მადლობა სასიამოვნო ორი საათისათვის

კერძო სკოლა „მზეკაბანში“ სხვა დროსაც ჰყოლიათ სტუმრები, სხვა დროსაც ჩაუტარებიათ საინტერესო ღონისძიება, მაგრამ ამ შეხვედრას სულ სხვა, განსაკუთრებული სითბო და ელფერი ახლდა, ინტერესი და სიახლის მოლოდინი.

მარიამ ჩაჩანიძე—ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის მე-11 კლასის მოსწავლეა. იგი კარგა ხანია „ონლაინ“ მუშაობს მოტივირებულ მოსწავლეებთან და ხშირად ატარებს მასტერკლასებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დავალებებთან

დაკავშირებით. ამ დღეებში მარიამი კერძო სკოლა „მზეკაბანის“ სტუმარი იყო—მზეკაბანელ „მოტივირებულ მოსწავლეებთან“ შეხვედრა მოაწყო. მან ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასტერკლასი ჩაატარა აღნიშნულ თემაზე. მარიამს და „მზეკაბანელებს“ მიაჩნიათ, რომ თანატოლებს კარგად შეუძლიათ ერთმანეთთან თანამოღვაწეობა და დახმარება ნებისმიერ საკითხზე. მეგობრულ გარემოში ჩატარებულ შეხვედრაზე, გამოითქვა სურვილი ამ ურთიერთობის გაგრძელებისა და კიდევ უფრო გაღრმავებაზე.

„მზეკაბანის“ დირექციამ, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს მარიამს სასიამოვნო ორი საათისათვის, აუდიტორიაში შეკრებილი ახალგაზრდების სახით საიმედო თაობა გვეზრდებაო—ამ რწმენით დამთავრდა შეხვედრა.

ჟუჟუნა ცხადაძე

29 აპრილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებია!

ნაზი სირაძე: „მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ მხარეს—მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანეს პროცესში—ელექტრონული არჩევნების დანერგვაში!“

ცესკოს 20 თებერვლის განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები 2023 წლის 29 აპრილს გაიმართება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის №49 საარჩევნო ოლქის 29 საარჩევნოო უბნიდან 23-ში ელექტრონული ფორმით პირველად ჩატარდება.

გვესაუბრება თერჯოლის №49 საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე ნაზი სირაძე.

კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, N49 თერჯოლის საარჩევნო ოლქში შექმნილია 29 უბანი, აქედან, ამ არჩევნებზე, საარჩევნო ადმინისტრაცია 23 უბანზე გამოიყენებს ორი ტიპის ტექნოლოგიას, მათ შორის, როგორც ამომრჩეველთა რეგისტრაცია/ვერიფიკაციის აპარატებს, ისე ხმის მიცემისა და დათვლის აპარატებს. არცერთ შემთხვევაში, აპარატები არ იქნება ქსელში ანუ ინტერნეტში ჩართული, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხავს კიბერჩარევის საფრთხეს. საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩეველი ერთი აპარატის საშუალებით გაივლის რეგისტრაცია/ვერიფიკაციას, მეორე აპარატის გამოყენებით კი შეძლებს ხმის მიცემას. განსხვავებული იქნება საარჩევნო ბიულეტენიც - ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა კი არ უნდა შემოხაზოს სასურველი კანდიდატის ნომერი, არამედ უნდა გააფერადოს კანდიდატის წინ არსებული წრე. ამასთან, ბიულეტენს აქვს დამატებითი დაცვის შესაძლებლობებიც - ინდივიდუალური QR კოდი და შტრიხკოდი, რაც გამორიცხავს იმას, რომ სხვა უბნის ბიულეტენი ან იგივე ბიულეტენი განმეორებით მოხვდეს ყუთში.

დანარჩენ 6 უბანზე კენჭისყრა ამ დრომდე არსებული წესით ჩატარდება. თუმცა აღნიშნულ უბნებზე ბიულეტენები დასკანერდება/გაციფრულდება, შესაბამის პლატფორმაზე აიტვირთება და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ეს კიდევ ერთი მექანიზმია იმისთვის, რომ დაცული იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მთავარი პრინციპები—გამჭვირვალობა და სანდოობა.

2023 წლის 29 აპრილს გასამართი მერის რიგგარეშე არჩევნებისათვის დარეგისტრირდა მერობის 2 კანდიდატი:

მანუჩარ რობაქიძე - წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

მიხეილი კვატაია - წარმდგენი საინიციატივო ჯგუფი „კობა არაბიძე, ზვიადი გიორგაძე, ემზარი დოლაკიძე, რევაზ გაბრიაძე, მირიანი ბეღელაძე, გიორგი ცქიფურიშვილი“.

აღვნიშვან, რომ საუბნოსაარჩევნო კომისიებმა ინფორმირებისათვის ამომრჩევლებს უკვე გადასცეს ამომრჩეველთა ბარათები და საინფორმაციო ფლაერები. საოლქო კომისიის წარმომადგენლებმა კი ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის 3 და 4 აპრილს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საინფორმაციო პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში, მათ შეხვედრები გამართეს ამომრჩევლებთან, გადასცეს საინფორმაციო ფლაერები და 2023 წლის 29 აპრილს გასამართი მერის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მიაწოდეს ინფორმაცია. რა თქმა უნდა, კვლავაც გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რათა ამომრჩევლამდე მივიტანოთ საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ეს არჩევნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ამ მასშტაბით ელექტრონული ტექნოლოგიები პირველად იქნება გამოყენებული. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება ტესტი მომავალი საერთო—2024 წლის არჩევნებისთვის. თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისია მზად არის კანონმდებლობის სრული დაცვით, გამჭვირვალედ და მაღალპროფესიულ დონეზე გაუწიოს ადმინისტრირება 29 აპრილის არჩევნებს. ეს არის საქართველოს არჩევნების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ყველა ჩართულ მხარეს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს საარჩევნო პროცესის წარმატებით წარმართვაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ არჩევნებში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობაა საარჩევნო რეფორმის წარმატებით განხორციელება. ჩვენ ერთად უნდა შევუწყოთ ხელი ტექნოლოგიების მიმართულებით ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებას.

სწორედ ამიტომ, გვინდა მოვუწოდოთ ყველა დაინტერესებულ მხარეს—პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, ყველას, ვინც გამოთქვამს სურვილს, რომ მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის დემოკრატიზაციის ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში, ჩვენთან ერთად ჩაერთონ ელექტრონული არჩევნების დანერგვაში.

გარემოს მდგრადობა და ცირკულარული ეკონომიკა

ამ საკითხის შესახებ ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში იმსჯელეს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის

ადმინისტრაციაში, სადაც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, თორმეტივე მუნიციპალიტეტის მერმა, ევროკავშირისა და გაეროს წარმომადგენლებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც ითვალისწინებს იმერეთის მხარეში ნარჩენების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების გასაუმჯობესებლად კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში მოქმედი და მოსალოდნელი რეგულაციები ნარჩენების მართვის მიმართულებით.

ხელმომწერთა ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს იმერეთის მხარეში, მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების გაუმჯობესებას.

აპრილი

14 — დედაენის დღე, წითელი პარასკევი
15 — დიდი შაბათი
16 — ბრწყინვალე აღდგომა მაცხოვარისა ჩუენისა იესო ქრისტესი
17 — საფლავთა კურთხევა
23 —კვირაცხოვლობა (ახალი კვირა)
29 — თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები

დიდი მადლობა მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის

დიდი მადლობა თითქმის საუკუნეს გატოლებული 90 წლოვანი იუბილის მოლოცვისათვის.

განსაკუთრებით დიდი მადლობა ათასობით ჩვენს მკითხველს და საზღვარგარეთის ქვეყნებში გადახვეწილთ, ვინც მოუთმენლად ელოდება ჩვენს გაზეთს ბეჭდურ ფორმატსა თუ ინტერნეტსივრცეში...



მადლობა ყველას, ვინც ყოველთვის არის და იქნება ჩვენი გულშემატკივარი და მეგობარი, ჩვენი ტკივილებისა და სიხარულის მოზიარე...

„თერჯოლა“

თუ ჩვენს გაზეთს ვერ შეიძენთ, ის შეგიძლიათ წაიკითხოთ:

გაზეთ „თერჯოლის“ ყოველ ახალ ნომერს, გარდა ბეჭდური ფორმატისა, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტსივრცის საშუალებით:

Faccebok — გაზეთი თერჯოლა,
www.nplg.gov.ge.
www. terjola.gov.ge.

სულთათანა

მართლმადიდებლური აღდგომის მეორე დღე, მიცვალებულთა მოხსენიების, საფლავთა კურთხევის დღეა. ამ დღეს ვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, მეგობრებს და არა მარტო მათ... ვიგონებთ და პატივს მივაგებთ ადამიანებს–ვინც გამორჩეული კვალი დატოვა ცხოვრებაში, ვინც ქვეყნის ერთგული კაციც იყო და მისი მეხოტბეც, ვინც დღემდე მოიტანა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება...

* * *

ტრადიციულად, საღდგომოდ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს თავიანთი კეთილი საქმეებით, სამშობლოსადმი მსახურებით და რომლებიც არაერთხელ მოხვედრილან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც წარმატებული პიროვნებები, ახლა კი, მარადიულ სასუფეველში განისვენებენ. არდავიწყება მათ სახელებს...

„რატომ წახვედი ასე ადრე შვილო...“

ჩვენს ქალაქში, თერჯოლის მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მალე დამთავრდება სკვერის მოწყობა. ამ სკვერს თერჯოლის საზოგადოების, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების მოთხოვნის გათვალისწინებით უკვე მიეკუთვნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის შარშან გარდაცვლილი მერის—ლაშა გოგიაშვილის სახელი.

ორნახევარი წელი ხელმძღვანელობდა იგი მუნიციპალიტეტს, მოსახლეობამ ორჯერ აირჩია ბატონი ლაშა ამ მაღალ თანამდებობაზე—რიგგარეშე არჩევნებში და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში...

„იგი იყო სახელმწიფო მოღვაწე“—ითქვა, მისი გარდაცვალების დღეებში. შეიძლება ათეულობით წელი გქონდეს თანამდებობა, უფრო მაღალიც, შეიძლება ამ მაღალი თანამდებობიდან დაასრულო ცხოვრება, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწე არ გიწოდონ, მოგმართონ ასე—ეს რჩეულთა ხვედრია. დიახ, რჩეული იყო თერჯოლის მერი, იგი დააკლდა არა მარტო ოჯახს, სამეგობროს, უთვალავ ნაცნობს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც, არამედ ხალხს. „მე ვიქნები ყველას მერი და არა კაბინეტში გამოკეტილი ადამიანი“— თქვა ბატონმა ლაშამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში და სიკვდილამდე ერთგულებდა ამ ნათქვამს.

რას უტოვებ შთამომავლობას სიკვდილის შემდეგ? ეს მარადიული კითხვაა და თუ ტოვებ ნათელ კვალს, მაგალითს ჭეშმარიტი მამულიშვილობის და კაცურ-კაცობისას, თუ ტოვებ ქვეყნის და ხალხის სიყვარულს, თუ სიცოცხლეშივე დაიდგი ძეგლი, გულით გიგრძნო ხალხმა, თუ დაგაყენა საუკეთესო შვილთა შორის, აგარიდა ხვედრი ადამიანისა, რომლის გულსა და გონებაში მხოლოდ პირადი ინტერესია, მაშინ სიკვდილიც არაფერია, სიკვდილი ყოველთვის არ არის სიკვდილი.

ადრე წავიდა ლაშა გოგიაშვილი. ვინ იცის რამდენი საქმე დარჩა გასაკეთებელი, ხარაჩოებში დატოვა თერჯოლა, მაგრამ მისი ორნახევარი წელი მუნიციპალიტეტის ოქროს ფურცლებს შეემატება, ხალხზე ზრუნვის მაგალითად დარჩება. მოსახლეობის იმ ნაწილს, თანაც დიდ ნაწილს, რომელიც მასთან თხოვნით მისულა, უარი არასოდეს მიუღია, გაჭირვებულის დახმარება წესად ჰქონდა, იმედიანი იყო.

თერჯოლას ბევრი აქვს მასთან დაკავშირებული მოგონებები. ადამიანებს დარჩათ რწმენა, რომ მისი გასაწალდავი გზა გაიწალდება, ბოლომდე მივა გასაკეთებელი საქმეები, კვლავაც იღორძინებს ლაშას საყვარელი თერჯოლა.

ახალგაზრდა, ნიჭიერი, შემოქმედი, დროის მოთხოვნების შესაბამისი კაცის გარდაცვალება ლახვარი იყო თერჯოლელთა და არა მარტო თერჯოლელთა გულში. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი მასთან დასამშვიდობებლად, მოდიოდნენ უცნობები, მთელი თერჯოლა იდგა გადასვენების დღეს ლაშას ეზოში, ქუჩაში, გადაიკეტა გზები, ჩვენ გვახსოვს ხალხმრავალი პროცესიები, მაგრამ ასეთი იშვიათად.

„რატომ წახვედი ასე ადრე შვილო“—შემოსტირა ლაშას სურათს, ვიღაც მოხუცმა ქალმა, ვინ იცის, რომელი სოფლიდან მოსულმა.

თბილისი ელოდა ლაშას, დასატირებლად და გამოსათხოვებლად, ქართული მიწა კი გულში ჩასაკრავად. მშვიდობით იყავ კარგო კაცო, მარადიულ სასუფეველში, ნუ დაღონდები, ტვირთს, რომელიც უნდა გეზიდა, შენი თანაგუნდელები ზიდავენ და ბევრ რამეს დაერქმევა შენი სახელი, სიცოცხლეს კი შენი შთამომავლობა გააგრძელებს, ნათელს, ლამაზს, რომ გეკადრება ისეთს, მაგრამ მაინც „სიკვდილი სევდაა, ადამიანად არყოფნის სევდა“...

სიმონ ტალახაძე



ყოველდღე, ერთსა და იგივე დროს, დაუგვიანებლად მოდიოდა სამსახურში. წარმოშობით ზესტაფონელი იყო, მაგრამ იქ მგონი არც უმუშავნია, უყვარდა თერჯოლა და თერჯოლელები, სამუშაო. კარგი ჟურნალისტი იყო, ლიტერატურულ მუშაკად მუშაობდა, თავაზობდნენ უფრო მაღალ თანამდებობებს, მაგრამ არ თანხმდებოდა, ამ საქმეს ვაკეთებ, ხელფასი და ჰონორარი მაქვს, თანამდებობა არ არის ჩემი საქმეო—იტყოდა.

სიმონის ოთახი მუდამ სიგარეტის კვამლით იყო დაბურული, დღეში ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. მოგკლავს-თქვა, ვეუბნებოდით. ზეპირად იცოდა ყველა კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა, ციფრები. პატარა-პატარა წერილების წერა უყვარდა, მარტო საქმეს რომ უკავშირდებოდა, ამ პატარა ინფორმაციებიდან ბევრის გაგება შეიძლებოდა. პირადად იცნობდა სოფლის ცნობილ ადამიანებს... დახვეწილად წერდა, ლამაზად და უშეცდომოდ. საქმეთა მმართველს და მბეჭდავს ქუჩუნა რობაქიძეს ხშირად ვუჩიოდით ჩვენი წერილების გადაბეჭდვისას დაშვებულ შეცდომებზე, წერეთ სიმონასავით და არ იქნება შეცდომებიო. თითოეულ მუშაკს ზედმეტი სახელი შეგვარქვა—„მალენკაია“, „ულიბკოვი“, „ღრაში“, „ავა ეს რომ იცოდეთ სამამდეო“—იტყოდა და არც ერთმა არ ვიცოდით რას გულისხმობდა.

კარგი კაცი იყო სიმონ ტალახაძე, ნამდვილი ინტელიგენტი, ყურადღებას იქცევდა მისი დახვეწილი მანერები. „ეს არ არის ტალახაძეო“—იტყოდა ხოლმე გოლა და იყო სიცილი.

გვეწყინა მისი წასვლა რედაქციიდან. პენსიაზე გასვლისთანავე დატოვა რედაქცია. გვიან გავიგეთ მისი გარდაცვალება, მერე მივედით... გულით დავიტირეთ.

თერჯოლის რაიონული გაზეთის რედაქტორები

სიმონ მუმლაძე „ჩხარის კოლმეურნეს“ 1933 წლის სექტემბრიდან 1946 წლის მაისამდე ხელმძღვანელობდა. რედაქტორობის 13 წლიანი პერიოდი იყო მძიმე, ათასგვარი მოულოდნელობებით სავსე. რედაქციის კოლექტივს დაძაბული მუშაობა უხდებოდა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისთვის, გაზეთში გამოქვეყნებული წერილები მკითხველს მოუთხრობდა კოლმეურნე გლეხობის თავდაუზოგავ შრომაზე, წინააღმდეგობებზე, გაჭირვებასა და ერთგვარ ბედნიერებაზე.

გაზეთი, ბატონ სიმონ მუმლაძის ხელმძღვანელობით, თანდათან იკრებდა ძალას, იზრდებოდა გაზეთის ტირაჟი, ბეჭდვის ხარისხიც უმჯობესდებოდა. „ჩხარის კოლმეურნე“ ახლობელი და საყვარელი გახდა.

ომმა ხელი შეუშალა გაზეთის ფუნქციონირებას, რადგან სტამბა-რედაქციის მუშაკების ერთი ნაწილი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. გაზეთი ახლა ფართოდ აშუქებდა ფრონტის ამბებსაც, წერდნენ ფაშიზმთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებზე, ომში წასულ თერჯოლელებზე...

ბატონი სიმონი რედაქციიდან წასვლის შემდეგაც არ ივიწყებდა გაზეთს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის თანამშრომლებთან, იხსენებდა ჩხარში მოღვაწეობის პერიოდს, გარდაცვალებამდე დარჩა შემდგომი გაზეთის „საკოლმეურნეო სოფლის“, „წინსვლის“ მკითხველად, თანამშრომლობდა კიდეც, 1978 წლის დეკემბერში გამოვიდა გაზეთ „წინსვლის“ მე-4000 ნომერი. ეს საიუბილეო თარიღი ყოფილმა რედაქტორმა სიმონ მუმლაძემ დიდი სიყვარულით მიულოცა თერჯოლელ ჟურნალისტებს და სტამბის კოლექტივს.

არტემ ჩხაიძე—რედაქციაში იმ დროს მოსულა, როცა სოფლის მეურნეობა წვრილ-დაქსაქსული, ინდივიდუალურ-გლეხური მეურნეობიდან თანდათან ყალიბდება... მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც ფეხს იდგამდნენ, მაგრამ მთელი ქვეყანა და ჩხარის რაიონიც ჯერ კიდევ დიდ ეკონომიკურ სივიწროვეს განიცდნენ.

მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა გაზეთის თანამშრომლებს. არ იყო საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა, გაზეთი ზესტაფონის რაიონის სტამბაში იბეჭდებოდა, იგრძნობოდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც გავლენას ახდენდა გაზეთის ოპერატიულობაზე და ხარისხზეც.

„მიუხედავად სიძნელეებისა, საქართველის კომპარტიის ჩხარის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის, აკ. მახათაძის, ბიუროს წევრების: ტ. გურგენიძის, მ. პაიჭაძის, ა. ფანჩულიძის და რაიკომის სხვა მუშაკების ა. მამრეკიშვილის, შ. ჩუბინიძეს, შ. ტაბატაძის, ვ. ფიფინოვის და სხვების ყურადღებით და მეცადინეობით გაზეთი ყოველთვის ამართლებდა თავის დანიშნულებას“. „მას შემდეგ ბევრი დრო არ გასულა, მაგრამ როგორ შეცვლილა რაიონის ცენტრი, სტამბა თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვილა, რვაათასიანი ტირაჟით გაზეთის გამოცემა დიდი მიღწევაა, რაც კარგად მეტყველებს გაზეთ „წინსვლის“ ავტორიტეტსა და პოპულარობაზე“—იწერებოდა გაზეთ „წინსვლის“ მე-4000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით ...

„ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო, ჟურნალისტებო, „წინსვლა“ ჰქვია თქვენს გაზეთს და მუდამ წინსვლით გევლოთ ჟურნალისტიკის რთულ გზაზე“—ასეთი სურვილი დატოვა მოწვეულმა სტუმარმა, „წინსვლის“ წინამორბედის ყოფილმა რედაქტორმა.

არტემ ჩხაიძე ამ დროს—1978 წლის დეკემბერში „სოიუზპეჩატის“ ლანჩხუთის სააგენტოს უფროსი იყო.

კარგა ხანია ბატონი არტემ ჩხაიძე და ბატონი სიმონი მუმლაძე სასუფეველში არიან დამკვიდრებულნი.

დგას 2023 წელი. გაზეთ „თერჯოლის“ ახლანდელმა თაობამ იცის მისი ძველი თაობის საქმიანობის დეტალები. ეცოდინება იგი ჩვენს შემდგომ თაობებს, რასაც ახლა ეყრება საფუძველი.

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების „შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“



სულთათანა

ძალიან დაგვაკლდით...

ნუნუ აბულაძე იმ ღირსეულ ქართველ ქალთა რიგებს ეკუთვნის, ვინც თავის მისიას მხოლოდ მასწავლებლობით არ მოიაზრებდა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პარალელურად, შეგირდებს ჩვენი ცხოვრების ისტორიას და იმ ფასეულობებს აცნობდა, მუდამ საამაყოდ რომ ჰქონდა და იმედია მომავალშიც ექნება ჩვენს ქვეყანას...

აქ არ შევუდგებით ქალბატონი ნუნუს წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობაზე, მის ჯილდოებსა თუ დამსახურებაზე ვრცლად საუბარს. ამჯერად მკითხველებს, ჩვენს გაზეთთან, ამ შესანიშნავი ადამიანის დამოკიდებულება გვინდა შევახსენო.

ქალბატონი ნუნუ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული მკითხველი იყო... წლების წინ, ხანმოკლე დროის მანძილზე რაიონულ გაზეთში მუშაობამ განაპირობა ის, რომ არა მხოლოდ მკითხველი, აქტიური კორესპონდენტიც გამხდარიყო. უფრო მეტიც, იგი იყო ჩვენი გაზეთის პირუთვნელი შემფასებელი, თანამდგომი და ერთგული მეგობარი...

უხაროდა თითოეული ნომერი, სტატია თუ ნარკვევი... წაიკითხავდა თუ არა მაშინვე შეგვეხმიანებოდა, მოგვიკითხავდა, მოსაწონს მოიწონებდა, თუმცა შენიშვნასაც დაუფარავად გვეტყოდა...

მისი მოსაზრებები სასწავლო საგნების სასკოლო ცხოვრების თუ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან მიმართებაში, რომელსაც დროდადრო ვაქვეყნებდით, იყო ყოველთვის აქტუალური და ფასეული. ყველა მნიშვნელოვან დღეებში ჩვენს გვერდით იყო, მისი ლამაზი სიტყვები და სტრიქონები ძალზე ღირებული იყო თითოეული ჩვენთაგანისათვის და გაზეთის მკითხველებისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენი 90 წლიანი გაზეთის საიუბილეო ნომერი ქალბატონმა ნუნუმ ვეღარ ჩაიხუტა, რაც ძალიან დიდი გულისტკივილია.

ძალიან, ძალიან დაგვაკლდით ნუნუ მასწავლებელო და გარკვეულწილად ჩვენო კოლეგავ. დააკლდით თქვენს ულამაზეს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, უამრავ აღსაზრდელს, საზოგადოებას... თქვენი ხიბლი დიდხანს გაუხუნარი იქნება, ხოლო თქვენი ნააზრევ-ნაფიქრალი სტრიქონები, მარადიულად იარსებებს გაზეთის თუნდაც გაყვითლებულ ფურცლებზე, რომელსაც არქივი შემოინახავს...

გვახსოვხართ, გვიყვარხართ, გვეამაყებით ქალბატონო ნუნუ...

რომან რიჟამაძე

შეუსრულებელ 71 წელს გილოცავთ მამა, ჩვენ არ წარმოგვედგინა, რომ მშობლის დაკარგვა სამუდამოდ დაკისრებულ სასჯელს ჰგავს, რომლისგანაც ზუსტად ისევე ვერ დაიხსნი თავს, როგორც გარდაცვლილ მშობელს ვეღარ შეხვდები ცოცხალს მიწაზე... ამ სასჯელს შენი სულისთვის ზრუნვა და ლოცვა ამსუბუქებს. ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში თითქოს სადღაც ახლოს ვგრძნობთ შენს სუნთქვას, გვგონია გვიყურებ და ისიც კი ვიცით, რას გვეტყოდი ამ დროს...ჩვენ ჯერ კიდევ შენი თვალებით ვიცით სამყარო. გილოცავთ იმიერში მამა, გვგონია, რომ ამდენგზის ტანჯვა ზეციურ საქართველოში შეგიმსუბუქდა, იარები მოგირჩა, მხრებგანიერი გოლიათი გახდი ისევ, ზუსტად ისეთი, როგორადაც ჩვენს ბავშვობაში გვეჩვენებოდი ხოლმე. მადლობა ყველაფრისათვის, უსასრულო მადლობა მამა! უფალმა გაანათლოს შენი ლამაზი სული.

ვერ შესრულებულ სიტყვებს
ვეღარ ასახდენ ამბავს...
დღე მარადისს რომ იტევს,
გზა ზეცამდე რომ გაბამს.
ვერ შესრულებულ თარიღს,
ვერ გადახდენილ ზღაპარს,
თოვლში ჩარჩენილ მარხილს
ხელს შემხები არ ჰყავს...
ვერ დაჯერებულ ყოფას
ძლივს ჩაუქნეველ ხელებს,
გულში იმედად - მოვა!
ისევ გადმოკვეთს ველებს...
ვგრძნობ გაუხუნარ სევდას,
ვუნთებ შენს ხსოვნას სანთელს.
დრო ამატკიებს მეტად
არ ამოძახილ სათქმელს ...

შვილები

არჩილ ქოჩიაშვილი



ადრეულ ასაკში გარდაიცვალა მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენელი, ყველასთვის საიმედო და საყვარელი აჩიკო ექიმი. დიახ, ასე იცნობდა მას თერჯოლა.

ის გახლდათ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი, უზომოდ კეთილშობილი, თავაზიანი, მორიდებული...

ვინ იცის, ვინ მოთვლის რამდენი ღამე თეთრად უთენებია მომაკვდავი ადამიანის სასთუმალთან. მისი დასმული დიაგნოზი უტყუარი იყო, დანიშნულება კი—ზუსტი.

ბატონი არჩილი ხშირად შემოივლიდა ხოლმე რედაქციაში. უყვარდა ჩვენი გაზეთი. ჩვენც ვუყვარდით. ვსაუბრობდით, ვბჭობდით...

მისი სითბო და კეთილშობილება დღემდე მოგვყვება თითოეულ ჩვენგანს.

ისეთ მკურნალებს, როგორიც ბატონი აჩიკო იყო, შეუძლიათ სასოებაში მყოფი ადამიანების განკურნება. ის ჰიპოკრატეს ფიცის ჭეშმარიტი ერთგული და ცხოვრებაში გამტარებელი გახლდათ.

ნათელი მის ხსოვნას.

ერთი სკოლის პედაგოგების ხსოვნას

სიქთარვაში განათლების საქმეს ყურადღება მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მიექცა. მღვდლებმა ანტონ და ლავრენტი ფერაძეებმა ხალხის თხოვნით და ზემდგომი ორგანოების თანხმობით, ნემსიწვერიძეების ეზოში ორწლიანი სკოლა გამართეს. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ღვთისმეტყველებას.

მე-20 საუკუნის დამდეგს აიგო ოროთახიანი, მიწის იატაკიანი ხის შენობა, ამჯერად ეკლესიის ეზოში. სკოლის გამგე და პირველი მასწავლებელი მიხა ქოჩიაშვილი იყო. მოგვიანებით ოთხწლიანი, შემდეგ შვიდწლიანი სკოლა გაიხსნა.

აიგო საშუალო სკოლის ახალი შენობა. სოფელში დიდი მოვლენა იყო მისი გახსნა. სოფელს უკვე ჰყავდა საკუთარი, უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგები.

სკოლაში სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ პედაგოგები, რომელთა გვარ-სახელები, წარმატებული საქმიანობა და ბავშვებზე ზრუნვის მაგალითები დღემდე ახსოვს არა მარტო სიქთარვის საჯარო სკოლის ამჟამინდელ პედაგოგებს, არამედ თაობებს.

აი ისინი—სიქთარველების აღმზრდელები: **გიორგაძე გუგულა, ცხადაძე გუგულა, კახიძე კოწია, კახიძე თინა, კახიძე ვახტანგი, ქოჩიაშვილი ლევანი, კვატაია გუგუშა, კვატაია ერმალო, ნემსაძე ტიტიკო, ცხადაძე ჯიბო, ლანჩავა ვენერა, ვერულაშვილი უშანგი, ცხადაძე გოგი, ამაშუკელი დავითი, ლანჩავა ქეთინო, ლანჩავა ნინო, გრიგალაშვილი ბორია, ნემსაძე ნიკოლოზი, ცქიფურიშვილი ლევანი, გამეზარდაშვილი ვენერა, აბჟანდაძე რეზო, კვატაია ვერა, კვატაია თამარი, აბულაძე ალიმი, თევდორაძე თამარი, ბეღელაძე ნაზი, რობაქიძე ჟენია, ქოჩიაშვილი ციალა, ბერიძე სულიკო, ვირსალაძე იური, ლოლაძე ირმა, ქოჩიაშვილი ნუგზარი, ჟორჟოლაძე კოწია, აბულაძე ნარგიზი, კუტივაძე ნანული, იაშვილი ლინეტა, იაშვილი მარიამი, ვერულაშვილი თალიკო, მამაგეიშვილი მადონა** და დიდებული ოთხეული: **ლესელიძე აგრაფინა, წერეთელი გოგოცა, მემანიშვილი კატუშა, სტურუა ქეთო.**

ათეულობით თაობის აღმზრდელების საფლავებთან დღესაც მიდიან ყოფილი მოსწავლეები, განსაკუთრებით ხსოვნის დღეს. კურსდამთავრებულების ერთმანეთთან შეხვედრისას კი არც ერთი მათგანის საფლავი არ რჩება ყვავილებისა და სანთლების გარეშე.

მიხა ქოჩიაშვილიდან, პირველი მასწავლებლიდან დღემდე, საუკუნე ნახევარზე მეტია გასული. ცხადია ყველა გარდაცვლილი პედაგოგი ვერ ჩამოვთვალეთ. ნათელში იყოს მათი და ყველას სული, იქ, სამუდამო განსასვენებელში.



გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მანანა კირკიტაძეს საყვარელი დის

ეთერ კირკიტაძე-წითელაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ციალა არეშიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლეილა სირაძეს დედის

ლამარა აბულაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ინგა კირკიტაძეს მეუღლის

გია ფანჩულიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

ციალა არეშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პირველი დახმარება მეზობლებს

„მეზობელო კარისაო,
სინათლე ხარ თვალისაო“...

მიმდინარე წლის 6 თებერვალს, თურქეთსა და სირიაში, დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაახლოებით (როგორც მედიასაშუალებები იუწყებოდნენ) 45 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, 118 ათასზე მეტი შენობა დაინგრა ან დაზიანდა.

მსოფლიო შეძრა თავისი მასშტაბურობითა და მსხვერპლით უპრეცედენტო ტრაგედიამ.

მრავალრიცხოვანი საცხოვრებელი კორპუსების ნგრევის შედეგად დაღუპულთა შორის ცოცხლებიც იყვნენ, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ განსაცდელისაგან თავის დაღწევას და შველას ითხოვდნენ.

სხვადასხვა ქვეყნებს შორის, საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო დახმარების ხელი რომ გაუწოდა მეზობელ სახელმწიფოს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შემადგენლობაში იყვნენ თერჯოლის სამაშველო განყოფილების მეხანძრე-მაშველები **კოტე არეშიძე** და **საბა კუბლაშვილი.**

სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა **კახა ვარდოსანიძემ**

წარმოგვიდგინა და დაახასიათა ღირსების მატარებელი მამაცი კაცები. მათ გვიამბეს, რომ ასკაციან დამხმარე ჯგუფთან ერთად, ორდღიანი მგზავრობის შემდეგ, თურქეთის ათაის პროვინციაში ჩაანაცვლეს ქართველთა პირველი 100-კაციანი ჯგუფი. ქ. ანთაქია მდებარეობს საზღვრიდან 1500 კმ სიღრმეში.

იქ 30-30-კაციან ჯგუფებად დანაწილდნენ და შეუდგნენ მძიმე საქმიანობას, მძიმე საქმიანობას, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

მუშაობა იყო სადღეღამისო...

მოდიოდნენ ადგილობრივნი...

გვიხდიდნენ მადლობას...

ძნელია ამ ყველაფრის აღწერა...

ჩვენ შესაძლებლობებს ვაჭარბებდით, რომ როგორმე გვეშველა განსაცდელში ჩავარდნილთა გადასარჩენად. ბოლომდე დავიხარჯეთ... ძნელი იყო უზარმაზარი ნანგრევების მიღმა მოყოლილ ადამიანებამდე მიკვლევა...

ამ ყველაფრის ენით აღწერა შეუძლებელია...

იმედი მაინც ცოცხლობდა.

ყოველ ჩვენგანში მშველელს ხედავდნენ და ჩვენც ყველაფერს ვაკეთებდით, რომ მათი მძიმე ხვედრი შეძლებისდაგვარად შეგვემსუბუქებინა.

მუშაობის პროცესში ჩვენთან მოვიდნენ პრეზიდენტი ერდოღანი, ადგილობრივი მთავრობისა და პრესის წარმომადგენლები. ისინი გვიხდიდნენ მხურვალე მადლობას მამაცობისთვის, ადამიანური თანადგომისათვის.

მადლიერების ცრემლით გამოგვაცილეს... შემდეგ ჩვენს ჩასანაცვლებლად სხვა ჯგუფი ჩამოვიდა...

იწერება ეს სტრიქონები და...

დიდი ვაჟა-ფშაველა გვახსენდება: „ბუნება მბრძანებელია...

თვალწინ გვიდგება გარდასული ხანის დიდი მხატვრის ნამუშევრები „პომპეას ნგრევა“...

გვახსენდება მცირე-მცირე „პწკენებიც“ საქართველოში, ჩვენს თერჯოლაშიც...

ღმერთმა დაგვიფაროს...

თქვენ კი, მამაცო კაცებო, კოტე და საბა მადლობას გიხდით, რომ გამოიჩინეთ განსაკუთრებული ვაჟკაცობა, რომ თქვენი წილი უშურველად გაიღეთ, რომ ბოლომდე დაიხარჯეთ...

სადაც სამშობლოს სიყვარულია, იქ სტიქიას რა ხელი აქვს

„კაცი რომ გაიცნო, მასთან, ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამოო“—გვსმენია ჩვენი წინაპრებისაგან. ამ ნათქვამში დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი. მაგრამ, ჩვენს ფორიაქ და ნერვულ საუკუნეში ყოველთვის როდი გვაქვს ფუფუნება მომავალ პერსონაჟებს ძირფესვიანად გავეცნოთ, გავიგოთ მათი მისწრაფებები, ხედვები... ჩავწვდეთ მათ სულიერ სამყაროს და ა.შ. და ა.შ.

საბედნიეროდ **დიტო (დიმიტრი) ცერცვაძე** აღმოჩნდა ის პიროვნება, რომლის მსგავსს ყოველთვის ვეძებთ...

პირველ რიგში ადამიანური ხიბლი: ზრდილი, კომპეტენტური, კეთილმოუბარი... ასეთი კაცები ყოველთვის გვაბედნიერებენ.

ახლაც, ამ სტრიქონების წერისას კალამი თავისუფლად მომყვება. მჯერა მკითხველს მისთვის სასიამოვნო პერსონაჟს ვაცნობ. ასეთი ადამიანები შვენიან საზოგადოებას.

დიმიტრი ცერცვაძე ჩვენია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მკვიდრია.

სასიამოვნო მისია მაქვს დაკისრებული—მკითხველს მოვუთხრო მის შესახებ.

საიდან დავიწყო?

ალბათ იქედან, რომ როგორც ჩვენი გაზეთი თავის დროზე იტყობინებოდა „საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ბორჯომის ხეობაში მძიმე სტიქიური მოვლენის—მასიური ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის რიგითი რეზერვისტი დიმიტრი ცერცვაძე დაჯილდოვდა მედლით.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას და მის ოჯახს მთავრობის მაღალ ჯილდოს, კვლა-

ვაც მრავალჯერ ესახელებინოს თავი.

ახლა კი მკითხველს მოკლედ წარვუდგენთ ახალგაზრდა კაცს, რეზერვისტს, რომელიც თავისი მეობით, ღირსებით იმსახურებს კეთილ სიტყვასა და აღიარებას.

1981 წლის 2 ოქტომბერს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში დაიბადა.

1985 წლიდან სოფელ რუფოთში (დედულეთში) ცხოვრობს, ჰყავს მშობლები, მეუღლე და ლამაზი ქალიშვილი, 9 წლის, მესამე კლასელი მარიამი.

1999 წელს დაამთავრა ახალთერჯოლის საჯარო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს დიპლომატიური აკადემიის საერთაშორისო ფაკულტეტზე.

2019 წლიდან მსახურობს თავდაცვის ბატალიონში რეზერვისტად.

ეს ნიშნავს როგორც რიგითი მებრძოლის ფუნქციას, ისე საგანგებო სიტუაციებში ჩართვის მოვალეობას.

გასული წლის ზაფხულში სტიქია ბორჯომის ხეობაში ორი კვირის განმავლობაში ბობოქრობდა, ხანძრის ლოკალიზაციაში ჩართულნი იყვნენ მეხანძრე-მაშველები და საქართველოს თავდაცვის ძალები...

ასკაციან რეზერვისტთა ჯგუფიდან თორმეტ რეზერვისტს, მ.შ. დიმიტრი ცერცვაძეს გამოჩენილი მამაცობისათვის გადაეცათ მედლები.

ჩვენი რაიონის მკვიდრი კეთილგანწყობით საუბრობს თანამებრძოლ მაშველთა თავგანწირულ და საზრიან ქმედებებზე, რამაც დიდად განაპირობა სტიქიის დამარცხება; რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგა ოფიცერთა შემადგენლობა—ბატალიონის ხელმძღვანელი ჯაბა მუხურაძე, მაიორი ევგენი ტალახაძე, ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობა, რიგითები, ყველა ისინი იმსახურებენ ქებას და დიდებას. მათ, ყველამ ერთად, თავისი წილი გაიღეს და გაავებულ ცეცხლს საშუალება არ მისცეს ტყის მასივები, ასევე მცხოვრებთა საცხოვრის-სავარგულები რომ გაენადგურებინა.

ცალკე თემაა, რომ აქტიურობდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. მათ პროდუქტებიც კი მოჰქონდათ, თუმცა ჩვენ უზრუნველყოფილნი ვიყავით საკვებით, თბილი ტანსაცმლითა და რა თქმა უნდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობითაც.

დიტო ცერცვაძემ ასევე შინაგანი კმაყოფილებით განაცხადა, რომ მიღებული ჯილდო მისთვის და მისი მეგობრებისთვის არის მოტივაცია—იყვნენ იქ, სადაც ევალებათ ყოფნა, უშურველად გაიღონ ის, რისი გაღებაც ევალებათ მათ.

ვინიშნავდი ამ ყველაფერს და მეამაყებო-

და, რომ ჩვენს გვერდით არიან მამაცი, მამულის სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან თავიანთი ცოდნა და უნარი სამშობლოს სიკეთეს მოახმარონ. გვჯერა მათი.

გვერდის ავტორი
ნუგზარ გამყრელიძე

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე
თვითნასწავლი ტექნოლოგი

გიორგი გაბრიჭიძე ჩვენი ქალაქის მკვიდრია. 2009 წელს დამთავრა თერჯოლის პირველი საჯარო სკოლა. პირველი დაძახებისთანავე სამხედრო განყოფილებაში გამოცხადდა და მთელი 12 წელი მსახურობდა ჯარში კაპრალ სპეციალისტად.

ჯარიდან დემობილიზებულმა მუშაობა მეხანძრე-მაშველად გააგრძელა სახანძრო-სამაშველო სამსახურში. სწორედ აქ შევხვდი მას სასაუბროდ. დაწყებული ხელმძღვანელიდან ,(ბატონი კახა ვარდოსანიძე) კოლეგა მაშველებით დამთავრებული, იმდენი საქებარი სიტყვა მითხრეს, ამ სამაგალითო ჭაბუკზე მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არც ვაპირებ. მისი პერსონა სულ სხვა რაკურსით მინდა გავაცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებს. გიორგი გაბრიჭიძე თვითნასწავლი მეღვინე ტექნოლოგია და მას უფრო ამ სფეროთი იცნობენ, ვიდრე, როგორც მეხანძრეს, ბუნებრივია შეკითხვებიც ამ კუთხით დავუსვი და თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა მითხრა სახლთან ლუდსახარშიც გავხსენი მეგობრების დახმარებითო. თანამედროვე ტექნოლოგიის დანადგარებით აღვჭურვე და ჩემი ნაწარმი მოწონებით სარგებლობს ადგილობრივ მომხმარებლებშიო.

ყოველ ახალ საქმეს რომ შეუდგე ჯერ დიდი ინტერესი უნდა გქონდეს საამისოდ და მეორეც რაღაც საბაზისო ცოდნა აუცილებლად გჭირდება. ჯერ კიდევ მე-5 კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა მეღვინეობის კუთხით, ალკოჰოლური სასმელების წარმოებით დავინტერესდი. არყის გამოხდა და იმერული წესით ღვინის დაყენება ეს მამა-პაპური დარგია და ამ მიმართულებით პირადადაც ოჯახში გვქონდა გამოცდილება, ჩემი მიზანი სპირტიანი სასმელების ბრენდების გამოშვება იყო, რომელიც კონკურენციას გაუწევდა სავაჭრო ქსელში გამოტანილ პროდუქციას. თანდათან შევაგროვე საჭირო-საცნობარო ლიტერატურა, შევხვდი ცნობილ მეღვინე-სპეციალისტებს, რომელთა დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით მუნიციპალიტეტში, ხუმრობა ხომ არაა თერჯოლაში შვიდამდე ღვინის ქარხანა იყო ადრეულ წლებში, სპირტის სახდელი ...., რესპუბლიკაში ბადალი არ გააჩნდა თერჯოლის შამპანურს, დამთავრების სტადიაში იყო კონიაკის ქარხანა.

ერთი სიტყვით ამ საქმემ ისე გამიტაცა, სამსახურიდან, მთელ თავისუფალ დროს (იქ სმენაში ვარ) ჩემეული პროდუქციის გამოშვებას ვახმარდი. აქვე გეტყვით, რომ ფუტკარი მოვაშენე და თაფლის არაყის გამოხდაც დავიწყე, რაც მომხმარებლებში დიდი მოწონებით სარგებლობს.

დღეისათვის საკუთარი დამღით ვაკეთებ ალკოჰოლური სასმელების ბრენდებს: კონიაკს, ვისკს (ამერიკული სტილით დაყენებულს), ლიქიორს სხვადასხვა ხილისას. რაც შეეხება ლუდის ხარშვას აქ თავიდან ცოტა გამიჭირდა, მქონდა იმედი, რომ მოვხვდებოდი პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“, მაგრამ უარი მივიღე, ასეთს ვერ დავაფინანსებთო. შემდეგ საკუთარი ძალებით (ფიზიკური, ფინანსური) შევუდექი საქმეს. ძალიან დამეხმარნენ მეგობრები, როგორც სამსახურიდან, ისე სამეზობლოდან. საბოლოო ჯამში საქმე გამოვიდა. ჩემს მიერ გამოშვებული ლუდი თაფლის ლოტი და კლასიკური უკეთესია თუ არა არაფრით ჩამოუვარდება სტაჟიანი კომპანიების გამოშვებულს. თაფლის საკუთარი წარმოება მაქვს, ასევე თავად გამომყავს ქერის ალაო. ისეთი აუცილებელი კომპონენტის შოვნა კი, როგორიცაა სვია არაა პრობლემური. ჯერჯერობით მუნიციპალიტეტის სავაჭრო ქსელში ვახდენ პროდუქციის რეალიზაციას, ვაპირებ არეალი გავაფართოო, ტურისტულ სეზონზე ბაკურიანსა და ბათუმს ვეწვიო გაბრიჭისეული დამღის პროდუქციით.

ქვემოთ რამოდენიმე შტრიხი გვინდა დავამატოთ ამ ენთუზიასტი ახალგაზრდის პორტრეტს, გიორგიმ არაერთგზის მიიღო მონაწილეობა ღვინის ფესტივალებზე: ბაღდათში, ქუთაისში, თერჯოლაში თავისთავად და ცნობილმა დეგუსტატორებმა მის სასმელს კარგი შეფასება მისცეს.

აქვს მტკიცე ტრადიციული ქართული ოჯახი. მეუღლე დალი ხაჩიძესთან ერთად ეწევა ცხოვრების არც თუ იოლ ჭაპანს. შვილები მათე და ნინო მათი ღვთიური საჩუქარი და ულევი სიხარული არიან. ასეთი ოჯახები აძლიერებენ ჩვენს ქვეყანას, ღმერთმა წარმატებები არ მოაკლოს ცხოვრების დიდ გზაზე.

ი. ერაძე

დიდი ტკივილი სამშობლოს გამო

ქართველი ხალხის სულსა და სხეულს ყოველთვის აჩნდა სხვისი ჭრილობა, თანადგომის უნარი, სხვის ბედზე დაფიქრება ჩვენთვის არ არის უცხო და იშვიათი, ასეა ამჯერადაც. რუსეთ-უკრაინის ომის პირველსავე დღეებში ქართველებმა შეძლებისდაგვარი დახმარება გაუწიეს უკრაინელ ხალხს. ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ დაფიქრებულა

უკრაინის ბედზე, ქვეყანაზე, რომელიც ერთ წელზე მეტია რუსეთთან ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს. ძლიერია უკრაინა, კვლავაც გაუძლებს, მაგრამ ხომ იღუპებიან ადამიანები, ბავშვები, ხომ ინგრევა ულამაზესი ქალაქები და სოფლები, ხომ იქცა მილიონობით ადამიანი ლტოლვილად. ალისუბნის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს (დირექტორი დავით კუტივაძე) და მოსწავლეებს, მთლიანად სოფელსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს უკრაინელი ხალხის ამ ტრაგედიასთან, არის ამ „განსაკუთრებულობის“ მიზეზი... ოცდაათ წელზე მეტია მშვენიერი უკრაინელი ქალბატონი, ტატიანა ხრისტიუკი, ალისუბანში ცხოვრობს, კორნელი შუღლაძის დიდ ოჯახში შეიტანა მან უკრაინული წესჩვეულებები და შეუსისხლხორცა ქართულს, ალისუბნის №1 საჯარო სკოლაში კი, წამყვანი პედაგოგის, ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლიან. „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, რომელიც ქალბატონ ტატიანას ათეული წლებია ორივე ქვეყნისა თან სდევს, ქართველებისთვის კი არა მსოფლიო ხალხებისთვისაც დაუწერია გენიალურ პოეტს.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაუტარებია ქალბატონ ტატიანას „მომხრე ვარ, რომ მთელ მსოფლიოში იყოს მშვიდობა“, „მე მომხრე ვარ სამართლიანობის“, „მე ვგმობ სისხლისღვრას“, „მე მომხრე ვარ თავისუფლების“, ჩვენ გვინდა მშვიდობა“, „დიდება უკრაინას“, „დიდება საქართველოს“.

ასეთი განცდები აქვთ ალისუბნის მომავალ თაობას, თავიანთ დამოკიდებულებას და განცდებს თან ახლავს თანაგრძნობა საყვარელი მასწავლებლის მიმართ, რომლისთვისაც უკრაინის ტრაგედია, როგორც ამ დიდი ერის შვილისთვის, უფრო მძაფრია, ვიდრე თითოეული ჩვენთაგანის. სწორედ ბავშვებმა შეახსენეს ღონისძიების დამსწრე პედაგოგებს და მოსწავლეებს, თუ რა მძიმე დღეები გამოიარა უკრაინელმა ხალხმა ამ ერთ წელიწადში, ფრიალებდა უკრაინისა და საქართველოს დროშები, შესრულდა უკრაინული და ქართული სიმღერები, გამოხატეს უკრაინელი ხალხისადმი სოლიდარობა, თანადგომა, სიყვარული და პატივისცემა.

არა საზეიმო, მაგრამ იმედიანი დღე

ეს დღე არ იყო საზეიმო, მაგრამ იყო იმედი, რწმენა იმისა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს, უკრაინა მოიშუშებს იარებს, გახდება ისეთივე ძლიერი, როგორც იყო, კვლავ აშენდება ქალაქები, სოფლები, დაბრუნდებიან ლტოლვილები...

ეს დღე რუსეთ-უკრაინის ომის ერთი წლისთავს მიუძღვნეს, მაგრამ არ დავიწყებიათ დედის დღე და რვა მარტი—გამძლეობა უსურვეს უკრაინელ ლტოლვილ დედებს, დედებს, რომლებიც კვლავ უკრაინაში ცხოვრობენ, პატივი მიაგეს დაღუპულებს და პატარებს, რომლებიც აწი უნდა გამხდარიყვნენ დედები.

ამ დღეს პატარებმა დაგმეს ომი და მისი სისასტიკე. სოლიდარობა, მეგობრობა და თანადგომა გასდევდა ღონისძიების მთელ მსვლელობას. ღონისძიებამ ხელი შეუწყო თანადგომის უნარის განვითარებას, იმ სულისკვეთებას, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობა სხვებზე ფიქრი და მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვაც არის.

ჟუჟუნა ცხადაძე

ვნების კვირეული...

ვნების კვირა დიდი მარხვის ბოლო, აღდგომისწინა კვირას ჰქვია. ეს კვირა (უფრო სწორად, 6 დღე) იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებსაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება. ამ დღეებში მსხვერპლშეწირვა არ ხდება და აღევლინება მხოლოდ პირველშეწირულ ძღვენთა ლიტურგია, რომელთა დროსაც სახარება სრულად იკითხება.

ამჯერად, შვიდეულიდან გთავაზობთ განმარტებებს დიდი პარასკევის და დიდი შაბათის შესახებ.



დიდი პარასკევი

დიდი ანუ წითელი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვარიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღიასას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი – „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული, დააბრძანებენ გარდამოხსნას.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული. „მამაო ჩვენოს“ გალობის შემდეგ კი ტროპარის „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი...“ გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლავში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.



გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება – მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

სერობის შემდეგ, საღამოს, შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. „ღვთისმშობლის გოდებაც“ აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერად შეღებილ კვერცხს ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება.



ცისკარზე მღვდელმსახურები „წმინდაო ღმერთოს“ გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი. ამ დროს იგალობება „მშვენიერმან იოსებ...“

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია ანუ წირვა ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის“ გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველებია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათელით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიანი დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თორმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაჰყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება.

აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულია, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“ (იოანე 16,12).

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872